BIBLICAL SYMBOLISM AND THE CONSTRUCTION INSCRIPTION FROM THE VILLAGE OF KOSHKEBI

ბიბლიური სიმბოლიკა და საამშენებლო წარწერა სოფელ კოშკებიდან

DAVID CHOCHISHVILI
Doctor of History,
AS.Professor of Gori State University
Chavchavadze st., №53, 1400, Gori, Georgia
ch.daviti67@gmail.com, +995 577934055
https://orcid.org/0000-0003-0627-5980

RUSUDAN TCHUMBURIDZE,
Doctor of Philology, Tbilisi State University
Chavchavadze st., №1, Tbilisi, Georgia
Rusudan.tchumburidze@tsu.ge
https://orcid.org/0009-0000-1057-7346

Abstract. Shida Kartli, as the geopolitical center of Eastern Georgia, has from antiquity determined the main directions of the country's political consolidation and the formation of statehood. The cultural and economic space that emerged here was significant for both administrative and cultural processes, which turned the region into one of the pillars of the Georgian state tradition. Even after the formation of various feudal domains in the Middle Ages, it consistently maintained a hegemonic role, a fact attested by the numerous cultural, religious, and fortification monuments preserved in the area.

The Skra Valley is located in Shida Kartli, within the Gori Municipality, in the basin of the Medzleva River. Geographically, it lies on the northern slopes of the Trialeti Range, which determines its relatively moderate microclimate. Historically, the Skra Valley was an important agricultural and trade area, connected with the central routes of Shida Kartli and the strategic corridors leading toward Gori. Archaeological evidence indicates that the valley has been inhabited since ancient times; its agricultural conditions favored both the cultivation of cereal crops and the development of animal husbandry.

The Skra Valley is rich in cultural monuments. Preserved here are original examples of religious and defensive architecture (a tri-church basilica, a tower with a buttress, etc.), as well as inscriptions, epitaphs, and other materials. The aim of the present study is to provide a historical overview of one of the region's monuments—the Church of the Virgin of the Towers—and to examine the biblical symbolism and the construction inscription preserved on it.

Keywords: Skra Valley, cultural monument, inscription, Church of the Virgin, biblical symbolism, Shalikashvili family.

დავით ჩოჩიშვილი,
ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
გორი, ჭავჭავაძის ქ. N53, 1400, საქართველო
ch.daviti67@gmail.com, +995 577934055
https://orcid.org/0000-0003-0627-5980

რუსუდან ჭუმბურიძე,
ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჭავჭავაძის ქ. N1, თბილისი, საქართველო
Rusudan.tchumburidze@tsu.ge
https://orcid.org/0009-0000-1057-7346

აბსტრაქტი. შიდა ქართლი, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს გეოპოლიტიკური ცენტრი, ოდითგანვე განსაზღვრავდა ქვეყნის პოლიტიკური კონსოლიდაციისა და სახელმწიფოებრიობის ფორმირების ძირითად მიმართულებებს. აქ ჩამოყალიბებული კულტურულ-ეკონომიკური სივრცე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ადმინისტრაციული, ასევე კულტურული პროცესებისათვის, რამაც რეგიონი ქართული სახელმწიფოებრივი ტრადიციის ერთ-ერთ საყრდენად გადააქცია. შუასაუკუნეებში სხვადასხვა საფეოდალოების წარმოქმნის შემდეგ, ყოველთვის ინარჩუნებდა ჰეგემონის როლს, რასაც აქ არსებული მრავალრიცხოვანი კულტურული, რელიგიური თუ საფორტიფიკაციო ნაგებობები ადასტურებს.

სკრის ხეობა მდებარეობს შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტში, მდინარე მეძლების აუზში. გეოგრაფიულად იგი განლაგებულია თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობების ზონაში, რაც განაპირობებს შედარებით ზომიერ მიკროკლიმატს. ისტორიულად სკრის ხეობა მნიშვნელოვანი იყო, როგორც სავაჭრო და სამიწათმოქმედო ტერიტორია, რომელიც უკავშირდებოდა შიდა ქართლის ცენტრალურ გზებს და გორისკენ მიმავალ სტრატეგიულ კორიდორებს. არქეოლოგიური მასალები მიუთითებს, რომ ხეობა დასახლებული იყო უძველესი პერიოდიდან; სამიწათმოქმედო პირობები ხელს უწყობდა როგორც მარცვლოვანი კულტურების მოყვანას, ისე მესაქონლეობის განვითარებას. სკრის ხეობა მდიდარია კულტურული ძეგლებით. აქ შემორჩენილია საკულტო, საფორტიფიკაციო ძეგლების ორიგინალური ნიმუშები (სამეკლესოვანი ნაგებობა, ზურგიანი კოშკი...), წარწერები, ეპიტაფიები და სხვა. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ერთ-ერთი ისტორიული ძეგლის-კოშკების ღვთისმშობლის ეკლესიის ისტორიული მიმოხილვა და მასზე გამოსახული ბიბლიური სიმბოლიკისა და საამშენებლო წარწერის განხილვა.

საკვანძო სიტყვები: სკრის ხეობა, კულტურის ძეგლი, წარწერა, ღვთისმშობლის ეკლესია, ბიბლიური სიმბოლიკა, შალიკაშვილები.

შესავალი. შიდა ქართლის, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეების, ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა დაკავშირებულია დიდი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის[1] სახელთან. იგი საციციანოს აღწერას სკრის ხეობით იწყებს და წერს: ,,დასავლით გორიჯურისა არს ხევი სკრისა, და მიერთვის სამხრიდამ მტკუარს. ამ ხეობის დასავლით არს ხუედურეთის ხეობა. გამოსდის საცხენისის მთას და მიერთვის სამხრიდამ მტკუარს. და არიან ესე ორნი ხეობანი ვენახოვანნი, ხილიანნი" (ვახუშტი ბატონიშვილი, 1941:344). აქვე აღნიშნავს, რომ ,,აქაური ღვინო უმჯობესი ყოვლისა .... და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა; პირუტყვთა სიმრავლე თვინიერ,....ჰაერი კეთილი და შემკული, და მთათა დაბნები.... ნაყოფითა და პირუტყვითა" (ვახუშტი ბატონიშვილი, 1941:344).

სკრის ხეობის მთავარი მდინარე მეძლება (იგივე სკრა[2].) სათავეს იღებს თრიალეთის მთათა განშტოებიდან, გომარეთისა და გალისხევის ქედების ვიწრო ხეობებში ჩამოსული ნაკადულებისაგან. რამდენიმე ხევის წყაროს წყალი ერთად გროვდება და ერთ კალაპოტში მოედინება. მდინარე როგორც კი გაივაკებს, მთლიანად ვაკეზე მიედინება და მტკვარს ისე უერთდება.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ხეობა ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ყოფილა დასახლებული[3]. არტეფაქტები, რომლებიც ამ ხეობაში აღმოჩნდა, საკმაოდ ფასეულია და მოიცავს ქრონოლოგიურ პერიოდს ძვ. წ. II ათასწლეულიდან გვიანანტიკურ და ფეოდალურ პერიოდამდე.

სკრის ხეობის პირველი მეცნიერული შესწავლა უკავშირდება გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ექვთიმე თაყაიშვილს. მისი ნაშრომი ,,არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი" იბეჭდებოდა სხვადასხვა დროს ჟურნალ ,,მოამბეში". მაგრამ შემდეგ ჟურნალის გამოცემა შეფერხდა და ბოლოს კიდეც შეწყდა. ამდენად ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალის გამოქვეყნება ვეღარ ხერხდებოდა. 1907 წელს მოხერხდა წიგნის დასტამბვა, სადაც

[1] ვახუშტი ბატონიშვილი (1696–1757)-ქართველი ისტორიკოსი, გეოგრაფი და მოაზროვნე, რომლის სამეცნიერო მოღვაწეობა მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიოგრაფიული აზროვნების ფორმირებას. მისი ფუნდამენტური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" წარმოადგენს უნიკალურ სინთეზს ისტორიულ-გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მონაცემების, რაც მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ქართული, ისე კავკასიური მეცნიერების განვითარების კონტექსტში.

[2] სკრა ეტიმოლოგიურად გულისხმობს ნაპრალებით ან კლდოვანი დაშლით გარღვეულ, მრავლად „დასკრულ" რელიეფს და წარმოადგენს არქაულ ქართველურ სახელდების მოდელს, სადაც ადგილს სახელი ეწოდება მისი გეომორფოლოგიური მახასიათებლების საფუძველზე. არის მეორე მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, ამ ადგილზე მეფუტკრეობა ყოფილა განვითარებული და სიტყვა ,,სკა" იქცა ხეობის ტოპონიმად.

[3] სკრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლების ნაწილი გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული, ნაწილი კი გაფანტულია, ან დაკარგული. მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს ხშირად პოულობდა მსგავს ნივთებს. 2017-18 წლებში სკრის ხეობაში სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობისას აღმოჩნდა თიხის სარკოფაგები. 2024 წელს ერთ-ერთმა მოსახლემ ორმოს თხრის დროს აღმოაჩინა არქეოლოგიური მასალა (სავარაუდოდ სამარხი), რომელიც განადგურდა. სამარხი ინვენტარის გადარჩენილი ნაწილის მიხედვით თარიღდება ძვ. წ. მე-18 საუკუნით. არტეფაქტები წარმოდგენილია შავლაკიანი კერამიკის ნიმუშებით.

დაიბეჭდა იმერეთის, გურიის, ქართლის, კახეთის ისტორიული ძეგლებისა და სხვა სიძველეების აღწერა, აგრეთვე წიგნში გადმოცემულია შენიშვნები ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიისა და გეოგრაფიის ხელნაწერების შესახებ, აგრეთვე, რუისის სამწყსოს დავთარი.

ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ეს მასალა შეკრებილია ,,1894-1900 წლებში სხვა და სხვა საქართველოს ნაწილებში მოგზაურობის დროს". კრებულში ცალკეა გამოყოფილი სკრის ხეობა (ე. თაყაიშვილი, 1907:59-65), სადაც მოგზაური იმყოფებოდა 1896 წელს. ექვთიმე თაყაიშვილი იყო ერთადერთი ქართველი არქეოლოგი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულში, რომელიც არქეოლოგიური კომისიის ოფიციალური დავალება-ნებართვით თხრიდა საქართველოში (ე. თაყაიშვილი, 1968:347). სწორედ ეს კომისია გასცემდა ე. წ. ,,ღია ფურცელს"[4], რომელიც იძლეოდა არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმოების უფლებას საქართველოში. სწორედ ამ ღია ფურცლის ძალით უმუშავია მას თბილისის გუბერნიაში, სკრის ხეობაში 1896 წელს. ექვთიმე თაყაიშვილი წერს: ურბნისის ქვემოთ, სადგურ სკრასთან, მტკვარს უერთდება მარჯვენა მხრით სკრის ვიწრო ხეობა..... ისტორიის წინა დროს ნაშთებად ამ ხეობისა უნდა ჩაითვალოს ძველი სასაფლაოები. საფლავები ფიქალი ქვებისაგან არის ნაშენნი და მათში კაცის ძვლებთან ერთად ხშირად ჰპოულობენ თიხის ჭურჭლებს და იშვიათად სამკაულებს და იარაღებს ბრინჯაოსა და რკინისა... ,,ვიპოვნეთ ორი თიხის კუბო, გრეხილებით შემკობილი და საზოგადოდ ლამაზი ხელობისა... თიხის კუბოები მცხეთაშიც არის ნაპოვნი და ერთი მათგანი ეხლა ინახება კავკასიის მუზეუმში, მაგრამ სკრაში ნაპოვნი კუბონი ხელობით ბევრათ უფრო ლამაზი არიან მცხეთისაზე" (ე. თაყაიშვილი, 1907: 59-60).

ექვთიმე თაყაიშვილის ინტერესი სკრისადმი[5] განაპირობა ამ ხეობის სიახლოვემ გორთან და იმანაც, რომ ის შიდა ქართლს აკავშირებდა სამცხე-ჯავახეთთან. ქართლის გაღმამხარი შეადგენდა მეოთხე ანუ მეუკანავე სადროშოს, სადაც გვიან შუასაუკუნეებში წარმოიქმნა საციციანო, საჯავახო და სათარხნო. სწორედ გაღმამხარში შედიოდა სკრაც, მაგრამ ის მალე შალიკაშვილების სამფლობელო გახდა, თუმცა აქ ყმები სხვა წარჩინებულთა გვარის წარმომადგენლებსაც ჰყავდათ. XVII საუკუნის საბუთით ერეკლე I სახლთუხუცეს ქაიხოსრო ციციშვილს ძველი სიგელის საფუძველზე უბოძებს სკრას, სამწევრისს, კარალეთსა და სადგერს.

---

[4] ,,ღია ფურცელი" რუსეთის იმპერიის პერიოდში იყო ოფიციალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნებართვა, რომელიც გაიცემოდა ცენტრალური ხელისუფლების, ძირითადად საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის ან ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ და აძლევდა მეცნიერებს, მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილს, უფლებას, ჩაეტარებინათ არქეოლოგიური გათხრები იმპერიის სხვადასხვა ნაწილში, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენდა სახელმწიფო კონტროლის მექანიზმს იმპერიის ფარგლებში მეცნიერების კვლევითი საქმიანობის რეგულაციისათვის და უზრუნველყოფდა აღმოჩენილი არტეფაქტების სამართლებრივ დაცვასა და აღრიცხვას.

[5] პირველი ისტორიული დოკუმენტი სკრის შესახებ არის ,,განჩინება ლუარსაბ I-ისა გოშფარ და როინ ჯავახიშვილების გაყრის საქმეზე და თარიღდება 1527-1558 წლებით. ამ დოკუმენტში მოცემულია ორი დიდებულის გაყრის შედეგად თითოეულისათვის შეხვედრილ უძრავ-მოძრავ ქონებაზე, რომელთა შორის არიან სკრაში მოსახლე გლეხებიც.

მართალია, სკრაზე უმნიშვნელოვანესი გზები არ გადიოდა, მაგრამ იგი შედარებით უსაფრთხო იყო და ამის გამო ყოველთვის სრული დატვირთვით მუშაობდა. ხოლო მას შემდეგ, რაც სამხრეთ საქართველო თურქებმა დაიპყრეს, კავშირები დაიკარგა და სკრის ხეობაც ეკონომიკურად დასუსტდა.ეს, უპირველეს ყოვლისა, იმ ისტორიულ ძეგლებს ემჩნევა, რომლებიც ხეობაშია შემორჩენილი. სკრის ხეობის გვიანი შუა საუკუნეების ძეგლები ნაკლები გრანდიოზულობით, ღარიბი დეკორით და სადა მხატვრული ფორმებით გამოირჩევა.

XVI საუკუნიდან ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს მიტაცების შემდეგ იწყება შალიკაშვილების, ავალიშვილების, დიასამიძეთა და სხვა ფეოდალური საგვარეულოების გადმოსახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მათ შორის, შიდა ქართლშიც. მოგვიანებით სკრის ხეობის მფლობელები შალიკაშვილები გახდნენ[6]. ექვთიმე თაყაიშვილი აღწერს სკრის ხეობის ძეგლებს, მოკლედ მიმოიხილავს თითოეულ მათგანს და აკეთებს დასკვნებს. ,,შალიკაშვილებს სკრის ხეობაში აუშენებიათ თავის სასაფლაოთ პატარა ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა. ეს ერთადერთი ეკლესია არის სკრის ხეობაში აგურით ნაშენი და ქვითვე დახურული“ (თაყაიშვილი, 1907, გვ. 60-61). ასევე საკუთარ საძვალედ ააშენეს შალიკაშვილებმა კოშკების ღვთისმშობლის ეკლესია (ე. წ. ტყუპის ეკლესია) (ჩოჩიშვილი, 2022).

სკრის ხეობაში რამდენიმე სოფელია გაერთიანებული ერთ სასოფლო თემად. სოფელი კოშკები[7] ხეობის სათავისკენ მდებარეობს, სადაც რამდენიმე ისტორიული ძეგლია, რომელთა უმეტესი ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია. ერთ-ერთი არის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც მდინარე მეძლების მარჯვენა მხარეზე მდებარეობს.

მეთოდები. მიმდინარე კვლევა ძირითადად ეფუძნება ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებული კვლევის მეთოდებს: ემპირიულ ანალიზს, შედარებით-ისტორიულ მეთოდს, მიზეზობრივ-შედარებით ანალიზს, სინთეზს, კონტენტანალიზს და სისტემურ ანალიზს.

შედეგები და მსჯელობა. მდინარე მეძლების მარჯვენა მხარეს, ოდნავ შემაღლებულ ადგილას მდებარეობს ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია. მის გარშემო გალავნის ნაშთებია შემორჩენილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეკლესია გალავნით ყოფილა შემოზღუდული. ეზოში მიმოფანტულია სხვადასხვა დროის საფლავის ქვებიც. დიდი ხნის

[6] სხვა საგვარეულოებთან ერთად შალიკაშვილები მოხსენიებულნი არიან 1516 წელს შედგენილ მცხეთის საკათალიკოსოში შემავალ სამცხე-საათაბაგოს თავადთა სიაში. შალიკაშვილთა სათავადო ღირსება აღიარებულ იქნა ქართლის მეფეების ლუარსაბ II (1606-1615) და ვახტანგ VI (1703-1724) მიერ 1611 და 1724 წლებში გამოცემული სიგელებით. სამცხიდან მოსული ქართლის თავადები შალიკაშვილები იხსენებიან იმ თავად-აზნაურთა სიაშიც, რომელიც ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე მეორემ 1783 წელს წარუდგინა რუსეთის საიმპერიო მთავრობას.

[7] სოფელი კოშკები მდებარეობს შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთ ნაწილში, სკრის ხეობის ზედა ზონაში. დასახლება წარმოადგენს მცირე ზომის სოფლის ტიპს. მიკროკლიმატი განსაზღვრავს მის ტრადიციულ ეკონომიკურ პროფილს – მევენახეობას და მეხილეობას. ტოპონიმი „კოშკები“ უკავშირდება სოფელში მდგარ შუასაუკუნეების ე.წ. ზურგიან კოშკს.

განმავლობაში ფერდობიდან ჩამოსულმა მიწის ფენამ ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი დაფარა, თუმცა ახლა გაწმენდილია და თავდაპირველ მდგომარეობას დაუბრუნდა. ეკლესია ტიპიური ერთნავიანი დარბაზული ნაგებობაა ზომებით 9,2მ.X27,4 მ., რომელიც X საუკუნის II ნახევრით თარიღდება (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 1990:77). ეკლესიაში ორი შესასვლელია-სამხრეთიდან და დასავლეთიდან. ეკლესია შიგნიდან ნათდება სამი სარკმლიდან შემოსული შუქით. შენობის შიდა სივრცე მცირედ დამუშავებული ქვებითაა მოპირკეთებული, ხოლო კამარა, კონქი, პილასტრები, თაღები-კარგად გათლილი კვადრებითაა შემოსილი. დარბაზის კამაროვანი გადახურვა ეყრდნობა პილასტრებზე აღმართულ თაღს და კედლებში ჩაყოლებულ მრგვალი გადახურვის თაღებს. ეკლესიის შიდა კედლებს მცირედ ეტყობა, რომ ოდესღაც მოხატული ყოფილა. თუმცა ამჟამად აქ გამოსახული ფრესკული მხატვრობის გარჩევა თითქმის შეუძლებელია. მხოლოდ აფსიდის სარკმლის გვერდით ჩანს მცირე შარავანდედის ნაშთი, სადაც ასომთავრული წარწერის ნაშთია შემორჩენილი ᲐᲓᲗᲔᲐ[8]. პილასტრებზე, დასავლეთის კარის თაღზე შემორჩენილია ორნამენტოვანი არშიებიც, რომლებიც უკვე იმდენადაა ფერგადასული, რომ მათი გარკვევა ჭირს. პ. ზაქარაია, რომელმაც 1953 წელს მოინახულა ეს ძეგლი, აღნიშნავს: ,,მხატვრობის ასეთ ცუდ მდგომარეობაში ყოფნის გამო მისი ზედმიწევნით დათარიღება თითქმის შეუძლებელია. წინასწარი დაკვირვებით კი იგი ეკლესიის თანამედროვე არ უნდა იყოს. ამავე აზრს გვიკარნახებს ეკლესიის კედლების თავისებურება....ოსტატი, რომელიც კედლების თლილი ქვითა და ორნამენტით შემოსვაზე ასე ზრუნავდა, ალბათ კედლების მოხატვაზე არ ფიქრობდა“ (ზაქარაია, 1959:217). ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობის დროს (1896 წელს) ეკლესიაში კანკელი და ხატებიც იყო შემორჩენილი: ,,კანკელი ახალია, უბრალო, ხისა. ხატებიც, რომელნიც დარჩენილან ეკლესიაში, ხისაა ქართულის წარწერით წმინდანების სახელებისა. მხატვრობის კვალი აქა-იქ ძლივს ემჩნევა“ (თაყაიშვილი, 1907:64).

ეკლესიის კედლების სივრცე ორიგინალურადაა გადაწყვეტილი თითო პილასტრით, რომელიც კედელს ორ ნაწილად ჰყოფს. კედლის დეკორატიული თაღების კაპიტელები სხვადასხვა დონეზეა განლაგებული, რაც კედლის მორთულობას უფრო განსხვავებულსა და შთამბეჭდავს ხდის. კედლის თაღებიც არაპროპორციულია-ზოგი მაღალია და ნახევარწრიული, ზოგი კი დაბალი და ოვალით სრულდება. პილასტრები და აფსიდის კუთხეები კაპიტელებით მთავრდება, სადაც ოსტატმა გამოიყენა მორთულობის სხვადასხვა ვარიანტი. აქ თითქოს ირღვევა პროპორციულობა და თითოეულ თაღს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, ამიტომაც თითოეული თაღის პილასტრები განსხვავებული მორთულობისაა: ,,ცენტრალური პილასტრის კაპიტელის სამივე მხარე ორნამენტირებულია, მაგრამ ისინი მთლიანობაში არ არიან. წინა სიბრტყეზე წარმოდგენილია წრიული რგოლების ჯაჭვი, შუა რგოლი გამოყოფილია და შიგ მკლავებმოხრილი ჯვარია ამოკვეთილი. კაპიტელის

[8] ᲐᲓᲗᲔᲐ („ოვებო“) ძველ ქართულში, ალბათ, რელიგიურ-რიტუალური ან საეკლესიო კონტექსტის მქონე ტერმინია

გვერდები განსხვავებულადაა გადაწყვეტილი. მარცხენა მხარეს ისევ რგოლებია ამოჭრილი“... (ზაქარაია, 1959:220). ოსტატის ორიგინალური მიდგომის შთამბეჭდავ უნიკალურობას გამოხატავს მორთულობის როგორც კომპოზიციური, ისე სიმბოლური გადაწყვეტა. წინა სიბრტყეზე წარმოდგენილი წრიული რგოლების ჯაჭვი, შუაში გამოყოფილი რგოლით, რომელშიც მკლავებმოხრილი ჯვარია ამოკვეთილი, წარმოადგენს კლასიკურ მოტივებსა და ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას შორის კავშირს, რაც კაპიტელს უნიკალურ მხატვრულ ავთენტურობას სძენს.

დანარჩენ კაპიტელებზე გამოსახულია სპირალებითა და სხვადასხვა ფორმის ამოკაწრული წრეებით შემკული რომბები. როგორც პ. ზაქარაია ფიქრობს, ქვის ოსტატები ხეზე კვეთაში უნდა ყოფილიყვნენ დაოსტატებულნი: ,,ეკლესიის ინტერიერის ჩუქურთმას აშკარად ეტყობა, რომ მათი გამომჭრელი ოსტატები მიჩვეულნი იყვნენ ხეზე ჭრას. ხეზე ჭრისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა მათ თითქმის უკრიტიკოდ გადაიტანეს ქვაზე“ (ზაქარაია, 1959:220). მიუხედავად იმისა, რომ ორნამენტის ფორმები დახვეწას საჭიროებს, ,,ინტერიერის ასეთ ორიგინალურ ორნამენტაციას ჯერჯერობით ცნობილ ძეგლებში ანალოგი არ გააჩნია“(ზაქარაია, 1959:220).

საინტერესოდაა გადაწყვეტილი ეკლესიის გარეთა ფასადებიც. მშენებლობისას მთლიანად ადგილობრივი ქვაა გამოყენებული, როგორც დამუშავებული, გათლილი კვადრები, ასევე ნაგლეჯი ქვა და ღვინისფერი ტუფი. ქვის წყობის ჰორიზონტალური რიგები დარღვეულია და ერთმანეთის გვერდით დევს როგორც დიდი, ასევე პატარა ზომის ქვები. გარე ფასადების მორთულობა ღარიბია და ძირითადად მხოლოდ სარკმლებია მორთული. შიგადაშიგ სქემატური რელიეფებია ჩატანებული კედლებში, რომლებსაც დახვეწა და ოსტატის გულმოდგინება აკლია.

დასავლეთ ფასადზე მხოლოდ სარკმლის მორთულობაა გამოყენებული. აქ ოსტატმა სარკმლის ზედა და ქვედა ქვების მხატვრულ დამუშავებაზე იზრუნა. სარკმლის ზედა ქვაში გამოყენებულია წნული ლენტები, რომლებიც საკმაოდ პროპორციულადაა დამუშავებული. ამ ქვაშივეა ამოჭრილი სარკმლის ზედა მომრგვალო ფორმის თაღი. რაც შეეხება სარკმლის ქვედა ქვას, იგი ისეა დამუშავებული, რომ თითქოს ამოვარდნილია კონტექსტიდან. ქვებს შორის მოქცეულია წრეებში ჩასმული ჯვრები, რომლებიც არაპროპორციულადაა განლაგებული. პ. ზაქარაიას მოსაზრებით, ,,ეს ქვა ამ ჯვრების გამოსახულებით სხვაგან იყო სადმე და შემდეგ აქ ჩასვეს, არავითარი საჭიროება არ იყო მათი მოთლისა, რადგან ქვის კედელში ჩაშენებისას მასზე რელიეფის არსებობა ხელს არ უშლიდა“ (ზაქარაია, 1959:226). ქვის ორნამენტული ფრაგმენტის მეორადი გამოყენება ცხადყოფს ეკლესიის არქიტექტურული გადამუშავების პროცესს, რომელიც დამახასიათებელია ქართული სამშენებლო ტრადიციისთვის. აღნიშნული ქვის ჩასმა ახალი ნაგებობის კედელში მიუთითებს, რომ იგი ძველი საკულტო ძეგლიდანაა გადმოტანილი და ახალ კონტექსტში პრაქტიკული ან სიმბოლური დატვირთვით იქნა გამოყენებული. ქვის ქვედა ნაწილში თავდადრეკილი ცხენის სქემატური გამოსახულებაა, რომელიც რთული გასარჩევია. ეკლესიებში ქვის ზედაპირზე ამოკვეთილი ცხენის სქემატური გამოსახულება წარმოადგენს შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული დეკორის იშვიათ, მაგრამ მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც შეიძლება ასახავდეს მეომრული ან საკულტო

სიმბოლიკის ტრადიციას. მიუხედავად იმისა, რომ ცხენის გამოსახულება ძალიან პრიმიტიულადაა შესრულებული, ოსტატს უცდია ექსპრესიულობის გამოსახვა (ამ შემთხვევაშიც დასტურდება ვარაუდი, რომ ოსტატი ხეზე ჭრაში ყოფილა დახელოვნებული). ამ ფასადზევეა კიდევ ერთი რელიეფი-ხელის მტევანი მკლავის მოკლე ნაწილით. პ.ზაქარაიას მოსაზრებით, ეს შეიძლება იყოს ,,მშენებელი ოსტატის-ხუროთმოძღვრის სიმბოლო. თავისი ნამოღვაწარის სიმბოლოდ მშენებელი მარჯვენის გამოსახულებას გვიტოვებს“ (ზაქარაია, 1959:227).

სამხრეთი ფასადი, სადაც შესასვლელი კარია დატანებული, სადადაა მორთული. ქვების წყობა თანმიმდევრულია როგორც კუთხეებში, ასევე სარკმლის გარშემო. სარკმლის თავზე განთავსებულ ქვაზე გამოსახულია ჯვარი, რომელიც ე. წ. ,,ბოლნური ჯვრის“ ცუდად შესრულებულ იმიტაციას წარმოადგენს და ნახევრადრკალშია განთავსებული. ჯვრის მკლავები პროპორციულადაა ამოტვიფრული, თუმცა ჯვარი დასავლეთისკენაა გადახრილი. თუ დასავლეთის ფასადზე სარკმელი შეკრულია თლილი ღვინისფერი ტუფითა და ადგილობრივი ქვის კარგად გათლილი კვადრებით, სამხრეთის ფასადის სარკმლის ამყოლი კედლები ამოყვანილია როგორც თლილი კვადრებით, ასევე შირიმის ქვით, რომელიც დაყრდნობილია ნაგლეჯი ქვის საყრდენზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა და ორიგინალურადაა გადაწყვეტილი აღმოსავლეთის ფასადი. აქ განთავსებულ მაღალ და წვრილ სარკმელს ორი სხვადასხვა ზომის, რელიეფურად კარგად დამუშავებული ქვა ასრულებს. ქვები ზომაში ერთმანეთისაგან განსხვავებულია, შეიძლება ითქვას, მათზე გამოსახული კომპოზიციაც სხვადასხვა შინაარსის მატარებელია.

აღმოსავლეთ ფასადზე, კედლის მარცხენა კუთხის მორთულობას ეკუთვნის ქვა, რომელზეც ამოტვიფრულია მამაკაცის სქემატური სახე. იგი მავედრებელი ფორმითაა გამოსახული და მასშტაბურად დიდი ხელები ზემოთ აქვს აპყრობილი. თითები უსაშველოდ გრძელი და არაპროპორციულია, სახე უაღრესად სქემატური და არაფრისმთქმელი. არ ჩანს არც ნაკვთები და არც ტანის მოხაზულობა, რითიც ოსტატი მიუთითებს გამოსახული პიროვნების სიმბოლურ მნიშვნელობაზე. ეკლესიის აღწერაში ე. თაყაიშვილი მიუთითებს, რომ ,,კედლებში ამ ეკლესიისა ჩატანებულია ქანდაკებანი წმინდანებისა. ერთი მათგანი აღმოსავლეთის კედელში თავდაღმაა ჩატანებული“ (თაყაიშვილი, 1907:64). პ. ზაქარაია ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით წერს: ,,თაყაიშვილმა ეს ეკლესია გასული საუკუნის 90-იან წლებში ნახა. ჩვენ კი ძეგლის პირველად ნახვის დროს (1942 წელს) აქ მხოლოდ ერთი ქანდაკება ვნახეთ, ისიც არა წმინდანისა და სწორედ მდგარი. აქ რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე“ (ზაქარაია, 1959:227). ჩვენი აზრით, თაყაიშვილის არასწორი ინტერპრეტაცია შემდეგი გარემოებებით შეიძლებოდა ყოფილიყო გამოწვეული: ე. თაყაიშვილმა შესაძლოა ფრაგმენტულად ჩაშენებული ქანდაკებითი დეტალი წმინდანის ფიგურად აღიქვა, მაშინ როცა სინამდვილეში ის შესაძლოა იყო სხვა ტიპის რელიეფი (მაგალითად, საერო ან დეკორატიული ელემენტი), ან სხვა ვარაუდით, ე.თაყაიშვილი მრავალ ძეგლს სტუმრობდა და აღწერდა სხვადასხვაგვარ დროსა და პირობებში, ზოგჯერ კი მისთვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ფრაგმენტული მასალა ან ადგილობრივთა გადმოცემები. ამიტომ შესაძლებელია, რომ დასახელებული ქანდაკება სხვა ეკლესიაში ნახა და მოგვიანებით ტექსტის მომზადების დროს ეს ფაქტი აღწერა.

აღმოსავლეთის ფასადის მთავარ მორთულობას წარმოადგენს სარკმლის ზემოთ დადებული ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული ქვა. ქვები ისეა განლაგებული, თითქოს სარკმელი სადღაც წყდება, შემდეგ ორი დეკორატიული ქვა ერთმანეთშია ჩამჯდარი, მას ზემოდან გასდევს უწყვეტი ქვების წყობა და ზემოდან ადევს კვლავ ღიობიანი ქვა, რომელიც, სავარაუდოდ, რომელიმე უფრო ფართო ზომის სარკმელს აგვირგვინებდა. სარკმელზე მოთავსებული ორი მხატვრულად დამუშავებული ქვა ვერტიკალურადაა განლაგებული და თითქოს განსხვავებული კომპოზიციის მატარებელია. მათი ზომებიც განსხვავებულია და ორნამენტებიც ნაირგვაროვანი. მსგავსი გადაწყვეტა მეტად იშვიათ ხერხად მიიჩნევა ქართულ ხუროთმოძღვრებაში და დაფიქსირებულია ვალეს ტაძარზე (მეფისაშვილი, 1950:36).

საინტერესოა ქვების ადგილმდებარეობაც. ორივე ქვა მხატვრულად დამუშავებულია. ზედა ქვაზე ბიბლიური სიმბოლოებია გამოსახული და ასომთავრული წარწერაა დატანებული. ქვედა ქვაზე ე. წ. ,,აყვავებული ბოლნური ჯვარია“ გამოსახული, მისი რვავე კუთხე წრეებით სრულდება, რომლებშიც მრგვალი ვარდულებია ჩასმული. ჯვრის თითოეულ მკლავსა და ქვის ლილვიან ჩარჩოს შორის ასევე სხვადასხვა სახის ორნამენტებია ჩასმული, რომლებიც თითქოს არანაირ სიმბოლურ დატვირთვას არ ატარებს და მხოლოდ ცარიელი სივრცის მხატვრულად გაფორმებას ემსახურება. ,,...მეტად უცნაურია ქვის მომჩარჩოებელი არშია. აქ იმდენი ნაირსახეობაა, რომ ძნელია იმის გარკვევა-ოსტატს სურდა ახალ მოტივთა შექმნა თუ ძველის გადამუშავებას ახდენდა. ...ერთადერთი ელემენტი, რომელიც წესიერია, ესაა ზედა არშიის მარჯვენა მონაკვეთი. აქ მოცემული ლენტოვანი წნული გავრცელებული იყო შუასაუკუნეებში“ (ზაქარაია, 1959:224) [9]. ქვის ორნამენტული სისტემა-აყვავებული ბოლნური ჯვრითა და დეკორატიული მოტივებით სიმბოლურად გამოხატავს სიცოცხლის, რწმენისა და განღმრთობის იდეას, რაც შუა საუკუნეების ქართული ქვისმთლელური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სულიერი შინაარსის მატარებელია. როგორც მიუთითებს შმერლინგი, ,,არქიტექტურაში დეკორის ეს თვისება თვალსაჩინოა X საუკუნის ბოლო მეოთხედის პერიოდშიც, განსაკუთრებით ფონური ელემენტების შევსებისას ნახევარფერულებით, „შინდის“ მსგავსი ან უბრალოდ ზიგზაგური ხაზებით. განხილული მაგალითი წარმოადგენს მხოლოდ ამ პერიოდის სამხატვრო სტილში გამორჩეულ ნიმუშებს, რომლებიც იძლევა შთაბეჭდილებას, თითქოს მხატვარი ვერ აკონტროლებს კომპოზიციას და არ არსებობს მკაფიო დაკავშირება ნაწილისა და მთლიანის შინაარსს შორის“ (Шмерлинг, 1962:93). მიუხედავად იმისა, რომ ძეგლის ორნამენტის შესრულების თარიღად მე-10 საუკუნის შემდგომი პერიოდია

[9] უნდა აღინიშნოს, რომ ქვის არშიების მრავალსახეობა შედგება თითქმის ათი ნაირსახეობისაგან. ისინი ერთ მთლიან ზოლად მიუყვება ჯვრის გარშემო კვადრატულ ლილვს სამი მხრიდან. ქვედა მხარე სარკმლის დასასრულია და პატარა ღიობი აქვს ამოჭრილი, თუმცა ამ ღიობის ზედა მხარე მთლიანად დატვირთულია ნაირსახოვანი ორნამენტებით, რომლებიც უწესრიგოდ დაყრილ ნახევრად დამუშავებულ დეკორატიულ ხის მორთულობებს წააგავს. ჯვრის საყრდენი ბუნიკი სამწერტილოვანია და კიდეებზე, როგორც დანარჩენ სხვა წერტილებზე, ვარდულებიანი წრეებია. ვარდულიანი წრეა ჯვრის ცენტრშიც. საერთო ჯამში 10 ვარდულაა და ამდენივე ორნამენტის სახე.

განსაზღვრული, ,,ამავე დროს, ეს თავისებურება გამოხატავს VIII–IX საუკუნეების ქართული ხელოვნების თავისებურებას: მოთხოვნა ახალი ფორმის ძიებაზე და ცვლილებები მხატვრის ხედვაში. დაძაბული მუშაობა, რომელიც მიმართულია ძველი ფორმებისგან გათავისუფლებაზე, ხშირად იწვევს კომპოზიციის დეზორგანიზებას, ნაწილების გატანას ერთმანეთისგან, რითაც რიტმულობა და ორგანიზებულობა იკარგება“ (Шмерлинг, 1962:93). ამდენად, კოშკების ღვთისმშობლის ეკლესიაზე შესრულებული გამოსახულებები გარკვეულწილად გამოხატავს VIII–IX საუკუნეების ქართული ხელოვნების ევოლუციას, სადაც დამახასიათებელია ფორმისა და სტილის ნოვატორული ძიება. ავტორი უსვამს ხაზს, რომ მხატვრის ინოვაციური მიდგომა, ძველი ფორმებისგან გათავისუფლების მცდელობაში, ხშირად იწვევს კომპოზიციის დეზორგანიზებას, რაც ასე მრავლად შეინიშნება კოშკების ღვთისმშობლის ეკლესიის დეკორში.

განსხვავებული დატვირთვის მატარებელია ზედა ქვა, რომელიც მორთულობისა და დეკორის მხრივ ასევე იმეორებს ქვედა ქვის მორთულობას იმით, რომ აქაც უწესრიგოდაა მიმოფანტული განსხვავებული სახის დეკორი. ქვის ცენტრალურ ნაწილში ამოკვეთილი წრიული თაღის ქვეშ განლაგებულია ექვსქიმიანი, ე. წ. ,,სოლომონის ვარსკვლავი“, რომლის შუაში წრე არის გამოსახული. ვარსკვლავს თითქოსდა ფონად უდევს ასომთავრული წარწერა. კომპოზიცია აერთიანებს ბიბლიურ სიმბოლოებსა და ასომთავრულ წარწერას, რაც ქრისტიანული სარწმუნოების იდეებსა და სულიერ მნიშვნელობას ასახავს. ნახევარწრის გარშემო სივრცე შევსებულია ორნამენტებით, ჰორიზონტზე კი კვლავ ასომთავრული წარწერაა. ამ წარწერის გაგრძელებაა ,,სოლომონის ვარსკვლავის“ ფონზე განთავსებული წარწერა, რომელსაც ქვემოთ შევეხებით. ნახევარწრის მარჯვენა მხარეზე განლაგებულია ორნამენტი, რომელიც შესრულებულია პროპორციებისა და ჰარმონიულობის პრინციპების ნაკლები დაცვით. აქაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ ოსტატი ცდილობს შეავსოს ცარიელი ადგილი დეკორით. რაც შეეხება მარცხენა მხარეს, აქ ოსტატი იმეორებს ეკლესიის ერთ-ერთი კაპიტელის, კერძოდ, სამხრეთის ცენტრალური პილასტრის კაპიტელის მორთულობას წრიული რგოლების ჯაჭვის სახით, ერთმანეთზე გადაბმული ექვსი რგოლი გამოყოფს ორნამენტს კედლის ამყოლი ქვისაგან.

უაღრესად საინტერესო კომპოზიციას წარმოადგენს აღნიშნული ქვები და მათი განლაგების პრინციპი. ქვის ზედა ფილაზე გამოსახული დავითის ვარსკვლავი და ქვედა ფილაზე გამოსახული ჯვარი მიანიშნებს სიმბოლოს ფუნქციის გარდაქმნაზე (დავითის ვარსკვლავის გამოყენება როგორც ,,ორნამენტული ეგზაგრამა“, რაც საქართველოში გამოიყენებოდა მე-6-მე-13 საუკუნეებში). ზედა თაღის ცენტრში, დიდ ექვსქიმიან ვარსკვლავზე მაღლა გამოსახულია ორი გადაჯვარედინებული ელიფსი, როგორც ორი ოვალური რკალი, სადაც ერთმა მეორე გადაკვეთა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საეკლესიო რელიეფებში ეს გამოსახულება საკმაოდ იშვიათია. ეს შეიძლება ნიშნავდეს შუასაუკუნეებში მიღებულ, ე. წ. ,,ღვთაებრივ თვალს“, რომელიც წარმოდგენილია სტილიზებული ფორმით და

ნიშნავს ღვთის ყოვლისმხედველობას, ზეციურ მზერას, რომელიც იცავს ტაძარს.[10] ორი ელიფსის გადაკვეთა ე. წ. ,,მანდორლის ნუშისებური ოვალური კონტური წარმოაჩენს ორი ბუნების-ღვთაებრივისა და ადამიანურის-ერთობას ქრისტეში. ოვალების გადაკვეთა ქმნის ფორმას, რომელიც წარმოადგენს ამ ერთობას და განსაზღვრავს ღვთაებრივი სინათლის ზონას ქრისტეს გარშემო" (ყაჭეიშვილი, 2015:128-129). საინტერესოა ისიც, რომ ჯვრის გამოსახულება განთავსებულია ქვედა ნაწილში. ზედა ქვა წარმოადგენს ძველი აღთქმის სიმბოლიკას, ქვედა კი ახალი აღთქმისას. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ჯვრის ქვედა ნაწილში განთავსება. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კომპოზიცია, საქართველოში არც ერთ საკულტო ძეგლზე არ მოიპოვება. ამით კიდევ ერთხელ შეიძლება ხაზი გავუსვათ კოშკების ღვთისმშობლის ეკლესიის ორიგინალურობასა და მისი ოსტატის (ოსტატების) შემოქმედებით თვითმყოფადობას.

წარწერის ისტორიული როლისა და მნიშვნელობის გარდა, არანაკლებ საინტერესო და აქტუალურია მის პალეოგრაფიულ და ენობრივ მახასიათებლებზე დაკვირვება[11].

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ლაპიდარული წარწერები შესრულების ტექნიკის მიხედვით შეიძლება იყოს: რელიეფური, ამოღარული, კიდურწერტილოვანი და კიდურწაისრული (სარჯველაძე, 1984). კუთვნილებისა და დანიშნულების მიხედვით ლაპიდარული წარწერები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

საამშენებლო (ა. ქტიტორთა; ბ. ხუროთმოძღვართა და ხელოსანთა);

მოსახსენებლები (ა. ქტიტორთა; ბ. უფალთა და გამგებელთა; გ. შემწირველთა; დ. ხუროთმოძღვართა და ხელოსანთა; ე. მლოცველ პილიგრიმთა);

იურიდიული აქტები (ა. აღაპის დაწესების; ბ. ფეოდალური საკუთრების - შეწირვის, ნასყიდობის, შეუვალობის და ა.შ.).

IX-X საუკუნიდან საამშენებლო ქტიტორული წარწერების რაოდენობა უფრო მეტი ხდება და მასში იხსენიებიან როგორც უმაღლესი ხელისუფალნი (მეფე), ასევე ადგილობრივი უფალიც, მღვდელთმთავარიც. ზოგჯერ გადმოცემულია რაღაც ისტორიული ეპიზოდიც, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძეგლის აგების დროს (შოშიაშვილი, 1980:19-20).

---

[10] ორი ოვალის გადაკვეთა წარმოადგენს ძველ ქრისტიანულ და პრე-ქრისტიანულ სიმბოლოს, სადაც ოვალური ფორმის გადაკვეთა ქმნის თევზის ფორმას (vesica piscis) და აქვს შემდეგი დატვირთვა: ქრისტე (თევზის არქეტიპი) და სიმბოლო ზეციური და მიწიერი სამყაროს შეერთებისა. ზ. კიკნაძე მას ხსნის, როგორც კავშირს დაბადებასთან, საწყისთან... ე. ყაჭეიშვილი, თვლის, რომ ,,ორი ოვალის გადაკვეთა წარმოადგენს ქრისტეს ორი ბუნების ერთობას"(ყაჭეიშვილი, 2015:128)

[11] საზოგადოდ, ეპიგრაფიკული ძეგლები შეიძლება იყოს შემდეგი სახის: ლაპიდარული, მოზაიკური, ჭედური, ფრესკული. მათ შორის უძველესი და ძალიან საინტერესოა ლაპიდარული წარწერები (V-X საუკუნის), რომლებიც შემორჩენილია: 1. საკულტო ძეგლებზე (ქვაჯვრები, ეკლესიები); 2. საფლავის ქვებსა და სარკოფაგებზე; 3. ცალკე ქვის ფილებზე.

კოშკების ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერა შედგება ოთხი სტრიქონისაგან, პირველ ორ სტრიქონს ქვის მთელი ხაზი უჭირავს, ხოლო ორი დანარჩენი მოთავსებულია ქვემოთ, წრეში ვარსკვლავის გვერდებზე და მოიცავს შემდეგს:

Ⴑ ᲜᲔ˜ᲪᲘ˜Ⴒ ᲘᲜᲘ Ⴑ˜ᲜᲔ
ᲨᲘ ᲬᲨ˜ᲨᲩ ᲨᲜᲘ˜
ᲩᲨ˜ ᲪᲜ
ᲪᲨ ᲪᲨ

ამ წარწერის მოკლე აღწერილობა მოცემული აქვს ე. თაყაიშვილს (თაყაიშვილი,1970:64), იგი გვთავაზობს შემდეგ წაკითხვას: ***„სახელითა ღვთისათა ესე ქვაჲ მე ლომმან დავსდევი ქრისტეს მეუფისთათა“.***

წარწერას თავის ნაშრომში აღწერს პ. ზაქარაია და მიუთითებს, რომ წარწერა ისეა განლაგებული, რომ ის ასრულებს მორთულობის როლსაც. იგი გვთავაზობს შემდეგ წაკითხვას: ***„სახელითა ღმრთისაჲთა ესე ქვაჲ მე ლომმან დავსუი (ან დავსდევი?) ჩემითა ფასითა“.***

პ.ზაქარაია მიუთითებს თაყაიშვილისეული ამოკითხვის ხარვეზზე და აღნიშნავს, რომ ზოგიერთი შინაარსობრივი ცდომილება გამოიწვია იმან, რომ ,,მან (ე.თაყაიშვილმა) იმის მაგივრად, რომ ვარსკვლავის გვერდებზე მდებარე ოთხ-ოთხი ასო ცალ-ცალკე წაეკითხა, წაიკითხა სტრიქონების მიხედვით თანამიმდევრულად.... წარწერის ასეთი გაშიფვრა კი დიდად განსხვავდება...“ (ზაქარაია, 1959:229).

ჩვენ მიერ შესწავლილი კოშკების ღვთისმშობლის ეკლესიის კედლის წარწერა შინაარსის მიხედვით სამშენებლოა და მასში, სავარაუდოდ, საერო პირი, ამშენებელი ან მშენებლობის ინიციატორი - შემწირველია მოხსენიებული. წარწერა უთარიღოა, ამოღარულია ქვაზე და შესრულებულია ასომთავრულით, თუმცა იჩენს გაკუთხურების ტენდენციას. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ათარიღებენ X ან X საუკუნის საუკუნის მეორე ნახევრით (პ.ზაქარაია, ნ. შოშიაშვილი).

აქვე მოკლედ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული ანბანის უძველესი სახეობა - ასომთავრული (იგივე მრგლოვანი) გვხვდება V-IX საუკუნეების წერილობით ძეგლებში - უძველეს წარწერებსა და ხელნაწერებში. ნუსხური ანბანის პირველი ნიმუშები IX საუკუნიდან ჩნდება, ეს გახლავთ გ. აბრამიშვილის მიერ აღმოჩენილი ატენის 835 წლის წარწერა. X საუკუნეში ჩნდება მხედრულის პირველი ნიმუშებიც და, შეიძლება ითქვას, რომ უკვე X საუკუნეში თანაარსებობს ქართული დამწერლობის სამი სახეობა: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული (დანელია, სარჯველაძე, 1997:218-219).

ცნობილია, რომ V-VII საუკუნეების წარწერებში რიგ ასოებს თავი შეკრული აქვს, ეს უძველეს წარწერათა მახასიათებლად ითვლება. VII საუკუნიდან ასომთავრულში იწყება ასოთა გრაფიკის გარკვეული ცვლილებები; კერძოდ შვიდ ასოში (ბ, ჟ, ვ, ყ, შ, წ, ჭ) შეკრული წრეხაზი მარტივდება და მის ადგილს ცალი მხრიდან გახსნილი რკალი იკავებს; ასო დ-ს (დონს), რომელიც ადრეულ ძეგლებზე ყელის გარეშეა წარმოდგენილი, მოგვიანებით ზედა ჰორიზონტალურ ხაზსა და წრეს შორის პატარა ყელი უჩნდება; ირღვევა ასოთა თანაბარი

სიმაღლეებიც — ზოგიერთ ასოს (ბ, გ, ჟ, ფ, ქ, ყ, წ, ყ) გასწვრივი ღერძი უგრძელდება და ვეღარ თავსდება ორხაზოვან სისტემაში (მწიგნობრობაᲘ ქართული, 5-6).

ამ მხრივ რა ახასიათებს ჩვენ მიერ გაანალიზებულ წარწერას? ასომთავრულისათვის დამახასიათებელი სიმრგვალე და სიმეტრიულობა ასოებს საგრძნობლად აკლია, გრაფემები კუთხოვანს ემსგავსება და ორი ასო **ლ** და **ღ** ნუსხურია; სიტყვაში **ქვაᲘ** Ი გრაფემა ძალზე პატარაა, მაშინ, როცა ის ტრადიციულად კვადრატს ავსებს. **ლ** გრაფემა კი ნუსხურის ადრეული სახეობითაა წარმოდგენილი - მისი წრე საკმაოდ დიდია, ხოლო ბუნი კი ძალზე პატარა. ასო **დ** (სიტყვაში **დვს˜** [*დავსდევი*]) წარმოდგენილია ასომთავრულის ყელიანი ვარიანტით. ასომთავრული **ა** გრაფემაც კუთხოვანია.

ოთხსტრიქონიანი წარწერა წარმოდგენილია გაბმით, ინტერვალის გარეშე. საზოგადოდ, ძველ ტექსტებში განკვეთილობის ნიშნები არ იხმარებოდა და ტექსტი დაწერილი იყო მიჯრით. სიტყვათა გასამიჯნად განკვეთილობის ნიშანთა გამოყენება დაიწყეს IX საუკუნეში და ეს წესი მტკიცედ მკვიდრდება XI საუკუნიდან, თუმცა ზოგჯერ ის სრულიად არაა წარმოდგენილი.

კოშკების წარწერის დასაწყისში მოთავსებულია ჯვრის სიმბოლო †. ეს შემთხვევითი არაა, რადგან ძველ წარწერებში ტექსტის დასაწყისში ხშირადაა მოთავსებული პატარა ჯვარი. ფიქრობენ, რომ ეს ტექსტის დაწყების ტექნიკური ნიშანია. ეს პატარა ჯვარი V-VII საუკუნის წარწერებში იშვიათად გვხვდება, მომდევნო პერიოდში კი უფრო ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის. IX საუკუნიდან ეს სიმბოლო გადადის ხელნაწერ წიგნებშიც. მხედრულ დამწერლობაში ჯვარი აღქმული იქნა, როგორც ,,ქრისტეს“ დასაწყისი პირველი გრაფემა. ამიტომ ხშირად ამ გრაფემით იწყება მხედრულით დაწერილი ქართული წერილობითი ძეგლები. ჯვარი, როგორც ტექსტის დასაწყისის აღმნიშვნელი ტექნიკური ნიშანი, ისევე, როგორც Ბ - ე.წ. ქანწილი, ქართულში გადმოღებული ჩანს ბერძნულიდან (შოშიაშვილი, 1980:22, დანელია, სარჯველაძე,1997:306). თუმცა აქვე უნდა აღნიშნოს, რომ დასტურდება ძველი ქართული წარწერები, რომლებიც იწყება ქრისტესადმი მიმართვით, მაგალითად: უკანგორის ეკლესიის მახლობლად აღმოჩენილი ჯვრის კვარცხლბეკი წარწერით: ***ქრისტე, პეტრეის ხუცსობას(ა) მე თათვარაზ, აღხუმ(ა)რთე ესე ჯუარი სახე(ლითა) ღმრთისაი(თა), შეწევნითა იმ...*** (ლ. მუსხელიშვილი წარწერას VI საუკუნით ათარიღებს). ასევე ქრისტესადმი მიმართვით იწყება ატენის სიონის წარწერები, მაგალითად, 837 წლის წარწერა: ***ქრისტე, ბრძანებითა ღმრთისაᲘთა თვესა ნოვემბერსა თოთხმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, ჟამსა ღამისასა, სარკენოზთა წელსა სკგ-სა, ქრონიკონსა ნ˜ზ, აღესრულა კურთხეული დედოფალი გუარამავრი...*** ქრისტესადმი მიმართვით იწყება ატენის 853 და 885 წლის წარწერებიც.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ჩანს, რომ არა მხოლოდ ხელნაწერ წიგნებში, არამედ წარწერებშიც იყო შემთხვევები, როცა წინადადება ქრისტეს ხსენებით იწყებოდა და ასე იყო არა მხოლოდ IX, არამედ VI საუკუნის წარწერაშიც. შესაბამისად, წინადადების/წარწერის დასაწყისში პატარა ჯვრის აღქმას არა მხოლოდ ე.წ. ტექნიკურ ნიშნად, არამედ ქრისტეს შემოკლებულ ფორმად, წინაპირობა ძველსავე წარწერებში აქვს.

რატომ † ჯვრის სიმბოლო? ასო **ქ** (ასომთავრული **Ⴕ**) არის ანბანის 24-ე ასო, რომელიც ქვეყნის, ქვეყნის ოთხივე მხარის სიმბოლოს წარმოადგენს. ასევე გამოიყენებოდა ტექნიკურ

ნიშნად **წ** (ასომთავრული **Წ**), რაც სასრულს ნიშნავდა. თუმცა ჩვენ მიერ გაანალიზებულ წარწერაში ეს უკანასკნელი არ დასტურდება. წარწერის დასაწყისში წარმოდგენილია პატარა ჯვარი †.

ძველ ქართულ ტექსტებში ქარაგმასა და დაქარაგმებასთან დაკავშირებულ წესებზე უნდა შევნიშნოთ, რომ წარწერებსა და ხელნაწერებში ძირითადად მოკლდებოდა: 1. საუფლო სახელები: ღმერთი, უფალი, წმინდა, ქრისტე... 2. მაკავშირებელი სიტყვები: რამეთუ, ხოლო, ვითარმედ, რომელი.... 3. კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ჩემი, შენი.... 4. სიტყვები: ისრაელი, იერუსალიმი, ბეთლემი... 5. ზმნები: თაყუანისცემა, დადება, გალობა...

სიტყვათა შესამოკლებლად გამოიყენებოდა სწორი ან გახრილი ხაზები (- ან ~). ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაქარაგმების შემდეგი წესებია: მხოლოასოიანი, შუაშეკვეცილი და უხმოვნო. ასევე, მხოლოდ წარწერებში და ისიც არც თუ ხშირად დასტურდება ბოლოშეკვეცილობაც. ხელნაწერთაგან განსხვავებით, წარწერებს სიტყვათა შემოკლებისას ერთი გამოკვეთილი თავისებურება ახასიათებს: საერთოდ მიღებულ, ტრადიციულ ფორმათა გვერდით აქ ისეთი სიტყვებია დაქარაგმებული, რომლებიც ხელნაწერებში, ჩვეულებრივ, არ მოკლდება. ზოგჯერ ასეთი სიტყვები იმდენადაა შემოკლებული, რომ მათი ამოკითხვა და ზუსტი მნიშვნელობის დადგენა ჭირს. ზოგჯერ ერთნაირი დაწერილობის დაქარაგმებული სიტყვა სხვადასხვა წარწერაში შეიძლება სხვადასხვაგვარადაც ამოვიკითხოთ (დანელია, სარჯველაძე, 1997:311-312).

კოშკების ეკლესიის წარწერაში თითქმის ყველა სიტყვა დაქარაგმებულია, სრულად წარმოდგენილია მხოლოდ ჩვენებითი ნაცვალსახელი **ესე** და პირის ნაცვალსახელი **მე**. ასო-ნიშნები გამოხატავს მხოლოდ ბგერებს, მათ რიცხვითი ან კალენდარული მნიშვნელობა არ აქვთ. დაქარაგმებული სიტყვებიდან გვხვდება შუაშეკვეცილი და უხმოვნო ვარიანტები. საყრდენი თანხმოვნებითა და გრამატიკული ღირებულებების მქონე ხმოვნიანი დაბოლოებით დაწერილი სიტყვები არ ქმნის სირთულეს წაკითხვისას, ასეთებია: **სხ~თ ღ~ა** (სახელითა ღმრთისაჲთა), **მე ლ~მ მნ** (მე ლომმან) , **ჩ~მთა ფსთა** (ჩემითა ფასითა).

წარწერაში არქაულ გრაფემათაგან გამოყენებულია **ᲲᲐ** (იოტა); **მოთხრობითი ბრუნვის** ნიშანი -**მან** წარმოდგენილია უხმოვნოდ, დაქარაგმებულად, მაგრამ არქაული სახით, **ნ** ელემენტით. ძველ ქართულ ტექსტებში (V-IX საუკუნისა) მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ყოველთვის სრული სახითაა წარმოდგენილი, ესაა ნორმა. შემდგომ გაცვეთის გზით მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი **ნ**-ს კარგავს- მან→მა. სალიტერატურო ენაში ეს მოვლენა პირველად ადიშის ოთხთავში (897 წ.) იჩენს თავს და საკმაოდ ხშირია X-XI საუკუნის ძეგლებში (სარჯველაძე, 1984, გვ. 361). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარწერის შექმნის დროს, ცოცხალ მეტყველებაში, ცხადია, გავრცელებული იყო მოთხრობითი ბრუნვის გამარტივებული ვარიანტებიც, მაგრამ წარწერას დაცული აქვს ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ნორმა. ეს, სავარაუდოდ, წერილობითი ტრადიციით ან წარწერის ამომკვეთის ენობრივი არჩევანითაა განპირობებული.

მსაზღვრელ-საზღვრული: **სახელითა ღმრთისაჲთა**, **ჩემითა ფასითა** წარმოდგენილია ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმით, ბრუნვის ნიშნები სრული სახითაა

დაცული. რაც შეეხება წარწერაში გამოყენებულ ზმნას - იგი წარმოდგენილია დაქარაგმებული ბოლოშეკვეცილი ფორმით - **დვს˜** [*დავსუი (ან დავსდევი).*

საინტერესოა, ვინ შეიძლება იყოს წარწერაში მოხსენიებული ლომი? არის თუ არა იგი ისტორიული პირი, რომელსაც წყაროები იცნობს? წარწერა, უკვე აღინიშნა, რომ უთარიღოა. თვით ტექსტის შინაარსი გვამცნობს ერთ ფაქტს - ლომი არის ,,ქვის დამდები," ხოლო ვინაა იგი, ამაზე მხოლოდ ვარაუდები შეიძლება გამოითქვას.

პ. ზაქარაია ფიქრობს, რომ წინადადება „სახელითა ღმრთისაჲთა ესე ქვაჲ მე ლომმან დავსუი ჩემითა ფასითა"- ორგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა: 1. პირდაპირი გაგებით, რომ ლომს მხოლოდ ამ ორნამენტიანი ქვის ფასი გაუღია; 2. გადატანითი მნიშვნელობით, ლომს ეკლესია მთლიანად თავისი ხარჯით აუგია. ხოლო თუ მეორე ვარიანტს მივიღებთ, მაშინ ლომი ქტიტორი - მაღალი სოციალური წრის (წოდების) წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, იქნებ სულაც ამ კუთხის მფლობელიც (ზაქარაია, 229).

ნ. შოშიაშვილი მის მიერ გამოცემულ ლაპიდარული ტექსტების კორპუსში **ლომს** მშენებლად მიიჩნევს და წარწერასაც ასევე სახელდებს - კოშკები, ღვთისმშობლის ეკლესია, „ხელოსან (ქვის დამდებ) ლომის წარწერა" - (შოშიაშვილი, 1980:200). როგორც ვხედავთ, ლომის ვინაობის შესახებ ორი თვალსაზრისია - იგი ქვის დამდები, ან ტაძრის მაშენებელია (ხელოსანი ან თანხის გამღები-დამფინანსებელი). ჩვენთვის ვინაობის გარდა, ასევე საინტერესოა თვით სახელი **ლომი**. ორივე წაკითხვის მიხედვით ლომი საკუთარ სახელად გაიგება. შეიძლება წამოყენებული იყოს ვარაუდიც, რომ ლომი იყოს ზოგადი სახელის აღმნიშვნელი მეტაფორა, რომელიც ასოცირდება ავტორიტეტთან და ლიდერთან.

ქართული ანთროპონიმების უძველეს ფონდში გამოიყოფა სამი ჯგუფის სახელი: ძირეული, წარმოქმნილი და თხზული. ძირეული საკუთარი სახელები წარმოქმნილი და თხზული სახელებისათვის არქეტიპს უნდა წარმოადგენდეს. მაგალითად, -**ა** სუფიქსით ნაწარმოები საკუთარი სახელები: მგელი-მგელა [გელა], ლომი-ლომა, ბერი-ბერა, ნათელი-ნათელა და სხვა. ფიქრობენ, რომ მსგავსი სახელები თავდაპირველად თიკუნი უნდა ყოფილიყო და შემდეგ იქცა საკუთარ სახელად. ამგვარად მიღებული ჩანს, მაგალითად: ლომა, ლომკაცა, ლომგული, მზექალა, პირიმზე, მაყვალა და სხვა (ღლონტი, 1968:16-17; 40).

დღეს ლომი საკუთარ სახელად აღარ გვხვდება, მაგრამ დასტურდება სახელები ლომია, ლომისა, ლომგული. მათგან ნაწარმოებია გვარები: ლომიძე, ლომაძე, ლომაშვილი, ლომაური, ლომაია, ლომია, ლომთაძე, ლომინაძე და სხვანი). ლომა, როგორც ადამიანის საკუთარი სახელი, საეკლესიო კალენდარში არ გვხვდება, მაგრამ ეს სახელი რომ გავრცელებული ყოფილა ხალხში, ამ გვარების არსებობაც გვიჩვენებს (ჭუმბურიძე, 1987:353). ლომი სახელის არსებობაზე მიუთითებს მე-10 საუკუნის ქვის ფილაზე მოთავსებული ნუსხური წარწერაც - „დაწერილი ზაზისა და თუთასი ბაჰრამისა და ლომასადმი" (შოშიაშვილი, 1980:146).

სიტყვა ლომი ქართულში ძველად და ახლაც მხატვრულ საშუალებად, მეტაფორადაც შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგალითად, ,,ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟები არაერთგზის მოიხსენიებიან, როგორც ლომი, ლომისა და მზის სადარი ადამიანები. ამ შემთხვევაში ლომი პერსონაჟთა მეტაფორაა, მაგრამ წარწერაში, საზოგადოდ, არაა მოსალოდნელი, რომ იგი

მეტაფორის მნიშვნელობით იყოს გამოყენებული. ჩვენ მიერ გაანალიზებულ წარწერაშიც ლომი უეჭველად ადამიანის საკუთარი სახელია.

ზემოაღნიშნული მსჯელობა და წარწერის გრამატიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ კოშკების ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერა საინტერესოა როგორც პალეოგრაფიული, ისე შინაარსობრივი და ენობრივი თვალსაზრისით.

ამრიგად, სკრის ხეობა, როგორც შიდა ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული სივრცე, გამოირჩევა უწყვეტი კულტურული ტრადიციითა და მრავალფეროვანი არქიტექტურული მემკვიდრეობით. კოშკების ღვთისმშობლის ეკლესიის ანალიზი ნათელს ხდის რეგიონის მნიშვნელობას როგორც რელიგიურ, ისე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში. ბიბლიური სიმბოლიკისა და საამშენებლო წარწერის შესწავლა ადასტურებს ადგილობრივი სახელოვნებო ტრადიციების სინთეზს და მაღალი კულტურულ-რელიგიური თვითშეგნების არსებობას შუასაუკუნეებრივ შიდა ქართლში. კოშკების ღვთისმშობლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე არსებული ქვის რელიეფები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არა მხოლოდ მათი იშვიათობის, არამედ სიმბოლური შინაარსის მრავალშრიანობის გამო. კომპოზიცია, რომელშიც ერთმანეთს ერთ სივრცეში ერგება ეგზაგრამა, ასომთავრული წარწერა, ორი გადაჯვარედინებული ელიფსი და ქვედა ფრიზში მოთავსებული ჯვარი, ქმნის მჭიდრო თეოლოგიურ მიმართებას ძველ და ახალ აღთქმებს შორის. ქვის რელიეფების იკონოგრაფიული მრავალფეროვნება, ტექნიკური შეუსაბამობები, ზოგჯერ პროპორციების დარღვევაც კი-საერთო ფონზე წარმოჩინდება როგორც გარდამავალი ეტაპის მაჩვენებელი VIII–X საუკუნეების ქართული ხელოვნების ევოლუციაში, როდესაც ძველი სკოლების სტილისტიკური ჩარჩოები თანდათან იცვლებოდა და ხელოვნებაში ჩნდება ახალი, ინდივიდუალური მანერა.

გამოყენებული ლიტერატურა:

დანელია, კ., სარჯველაძე, ზ. (1997). *ქართული პალეოგრაფია.* თბილისი.

ვახუშტი. (1941). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა.* თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბილისი.

ზაქარაია, პ. (1959). სკრის ხეობის რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი, აკად. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. XX. თბილისი.

თაყაიშვილი, ე. (1907). *არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი.* წიგნი, 1, ტფილისი.

თაყაიშვილი, ე. (1968). *რჩეული ნაშრომები.* ტ. 1, თბილისი.

მამისთვალიშვილი, ელ. (2018). *გორის ისტორია I, II.* თბილისი.

მეფისაშვილი, რ. (1950). ვალეს ტაძარი და მისი მშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, *"ქართული ხელოვნება"*, ტ.3. თბილისი.

მწიგნობრობაჲ ქართული. (1989). შემდგენელი ელენე მაჭავარიანი, თბილისი.

სარჯველაძე, ზ. (1984). *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი.* თბილისი.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 1990. თბილისი.

ქართული სამართლის ძეგლები. (1970). ტ. 3, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი.

ღლონტი, ალ. (1968). „ქართველური საკუთარი სახელები,“ *ანთროპონიმთა ლექსიკონი,* თბილისი.
ყაჭეიშვილი, ე. (2015). *ქართული ხატწერა.* თბილისი.
შოშიაშვილი, ნ. (1980). *ქართული წარწერების კორპუსი.* ტ.1, ლაპიდარული წარწერები, თბილისი.
ჩოჩიშვილი, დ. (2022). სკრის ხეობის საამშენებლო წარწერა. *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია.* გორი.
ჭუმბურიძე, ზ. (1987). *დედაენა ქართული.* თბილისი.
Шмерлинг, Р. (1962). *Малые формы архитектуры в средневековой Грузии.* Тбилиси.

REFERENCES

danelia, k'., sarjveladze, z. (1997). kartuli p'aleograpia. tbilisi.
vakhusht'i. (1941). aghts'era sameposa sakartvelosa. t. lomourisa da n. berdzenishvilis red., tbilisi.
zakaraia, p'. (1959). sk'ris kheobis ramdenime khurotmodzghvruli dzegli, ak'ad. janashias sakh. sak. sakhelmts'. muzeumis moambe, t'. XX. tbilisi.
taqaishvili, e. (1907). arkheologiuri mogzaurobani da shenishvnani. ts'igni, 1, t'pilisi.
taqaishvili, e. (1968). rcheuli nashromebi. t'. 1, tbilisi.
mamistvalishvili, el. (2018). goris ist'oria I, II. tbilisi.
mepisashvili, r. (1950). vales t'adzari da misi msheneblobis ori dziritadi p'eriodi, “kartuli khelovneba“, t'.3. tbilisi.
mts'ignobrobaω kartuli. (1989). shemdgeneli elene mach'avariani, tbilisi.
sarjveladze, z. (1984). kartuli salit'erat'uro enis ist'oriis shesavali. tbilisi.
sakartvelos ist'oriisa da k'ult'uris dzeglta aghts'eriloba. 1990. tbilisi.
kartuli samartlis dzeglebi. (1970). t'. 3, t'ekst'i gamostsa, gamok'vleva da leksik'oni daurto i. dolidzem, tbilisi.
ghlont'i, al. (1968). „kartveluri sak'utari sakhelebi,“ antrop'onimta leksik'oni, tbilisi.
qach'eishvili, e. (2015). kartuli khat'ts'era. tbilisi.
shoshiashvili, n. (1980). kartuli ts'arts'erebis k'orp'usi. t'.1, lap'idaruli ts'arts'erebi, tbilisi.
chochishvili, d. (2022). sk'ris kheobis saamsheneblo ts'arts'era. ist'oria, arkeologia, etnograpia. gori.
ch'umburidze, z. (1987). dedaena kartuli. tbilisi.
Shmerling, R. (1962). Malye formy arhitektury v srednevekovoj Gruzii. Tbilisi.

ფოტოები

კოშკების ღვთისმშობლის ეკლესია (დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფასადები).

წარწერიანი და დეკორით შემკული ფილები აღმოსავლეთ ფასადზე



„მავედრებელი" აღმოსავლეთ ფასადზე

ჯვრის გამოსახულება სამხრეთის ფასადზე



„წნული" დასავლეთის ფასადზე

ცხენის გამოსახულება დასავლეთის ფასადზე



პილასტრების დეკორის ელემენტები



ეკლესიის ინტერიერი